ა (ა) ი პ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

16.07.13. № 12/02

თბილისი

სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი
რესურსების შემსწავლელი ცენტრის სამეცნიერო-სტრუქტურული
ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობების
დასაკავებლად კონკურსის ჩატარების შესახებ

სტუ-ს საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორის 15.07.13 წ. მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს ღია კონკურსი საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად 4 წლის ვადით:

1) მინერალური და ენერგეტიკული რესურსების და მათი გამოყენების განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული. ამავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 3 საშ. ერთ.

2) ადამიანური და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების, მათი გამოყენებისა და ტურიზმის განყოფილების გამგე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშ. ერთ. ამავე განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშ.ერთ. და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 2 საშ. ერთ.

3) მიწის, წყლის და ტყის რესურსების, მათი გამოყენებისა და ეკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი – 3 საშ. ერთ. და მეცნიერი თანამშრომელი – 1 საშ.ერთ.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა დამატებითი ინფორმირება და განცხადებების მიღება იწარმოებს საკონკურსო კომისიის მიერ 2013 წლის 25 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა) 10.00 საათიდან 15.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას 67, სტუ-ს მე-10 კორ., მე-5 სარ., ტელ.: 2223216, 222 7666.

3. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობებზე კონკურსი ჩატარდება 2013 წლის 7 აგვისტოს, ხოლო სამეცნიერო თანამდებობებზე კი – 2013 წლის 12 აგვისტოს.

4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის **დებულება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის შესახებ** წარმოდგენილი სახით.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:

იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი ბ. მაისურაძე

ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების
შემსწავლელი ცენტრი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის შესახებ

წინამდებარე დებულება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულის „საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის" (შემდგომში „ცენტრი") დებულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე აყალიბებს ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და ცენტრის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესებს.

თავი I. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და სამეცნიერი თანამდებობების დაკავების და კონკურსის გამოცხადების წესები

მუხლი 1. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების წესი

1. ცენტრის სტრუქტურული ერთეულია განყოფილება.
2. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პირობებს.
3. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ფარული კენჭისყრით, სიითი სემადგენლობის უმრავლესობით, თანამდებობაზე ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო (საბჭოს წევრები) და თანამდებობაზე ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
4. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსისა და არჩევნების ორგანიზების მიზნით ცენტრის სამეცნიერო საბჭო ქმნის კონკურსის სამდივნოს.

მუხლი 2. სამეცნიერო თანამდებობების დაკავების წესი

1. ცენტრის სამეცნიერო თანამდებობებს მიეკუთვნება:
   ა) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა;
   ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა;
   გ) მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა.
2. სამეცნიერო თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პირობებს.
3. ცენტრის სამეცნიერო პერსონალის წევრებს ირჩევს ცენტრის საკონკურსო კომისია (კომისიის წევრები) ღია კენჭისყრის წესით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

თავი II. თანამდებობების დაკავების და კონკურსის გამოცხადების წესები

მუხლი 3. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის პირობები

1. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.
2. დამატებით პირობებს განსაზღვრავს ცენტრის სამეცნიერო საბჭო, რასაც იგი კონკურსის ჩატარების თარიღთან ერთად წინასწარ

მუხლი 4. სამეცნიერო თანამდებობებზე არჩევის პირობები

1. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.
3. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.
4. დამატებით პირობებს დაწესებულების სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთან შეთანხმებით განსაზღვრავს ცენტრის დირექტორი, რასაც იგი კონკურსის ჩატარების თარიღთან ერთად წინასწარ აქვეყნებს საქართველოს კანონმდებლობითა და ცენტრის დებულებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 5. კონკურსის გამოცხადება

1. კონკურსის გამოცხადება ხდება ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთა ან/და სამეცნიერო პერსონალის შემადგენლობის განახლების ან წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით.
2. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელთა შემადგენლობის განახლების შემთხვევაში კონკურსი ტარდება არა უგვიანეს მათი უფლებამოსილების ამოწურვამდე, ხოლო ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში – შესაბამისი ვაკანსიის წარმოქმნიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში. აღნიშნული ვადის შემდგომი გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.
3. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსისა და არჩევნების ორგანიზების მიზნით ცენტრის სამეცნიერო საბჭო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს – გადაწყვეტილებას.
4. კონკურსს ნიშნავს და აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი.
5. კონკურსის შესახებ განცხადება ქვეყნდება კონკურსში მონაწილეობის მსურველთა (კონკურსანტების) საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 5 და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 20 დღით ადრე.
6. კონკურსის შესახებ მიღებული დადგენილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო გაცნობისათვის, რომელიც განცხადების სახით უნდა გამოიკრას ცენტრის საინფორმაციო სტენდზე (დაფაზე), ასევე უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდებზე და გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის რომელიმე ორგანოში.
7. გამოქვეყნებულ განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების, დასრულებისა და კონკურსის ჩატარების თარიღები, ასევე კონკურსის პირობები და კანდიდატების მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.
8. ამ დებულებით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე დებულებით სხვა რამ არ არის მითითებული.

თავი III. კონკურსის სამდივნო და საკონკურსო კომისია. მათი უფლება-მოვალეობები

მუხლი 6. კონკურსის სამდივნო

1. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსისა და არჩევნების ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს კონკურსის სამდივნო.
2. კონკურსის სამდივნო შედგება თავმჯდომარისა და 3 წევრისაგან.
3. კონკურსის სამდივნოს თავმჯდომარესა და წევრებს ცენტრის პერსონალის წევრთაგან ირჩევს ცენტრის სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრის წესით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 7. საკონკურსო კომისია

1. ცენტრის სამეცნიერო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისია შედგება 5 წევრისაგან, მათ შორის არის ცენტრის დირექტორი, ცენტრის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები და ცენტრის თანამშრომელი, რომელსაც საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში ამტკიცებს ცენტრის სამეცნიერო საბჭო.
3. საკონკურსო კომისიას თავმჯდომარეობს ცენტრის დირექტორი. იმ შემთხვევაში თუ დირექტორი თავად მონაწილეობს კონკურსში, კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 8. კონკურსის სამდივნოსა და საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობები

1. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიას) ეკისრება ვალდებულება კონკურსის ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.
2. კონკურსის სამდივნო (საკონკურსო კომისია) უფლებამოსილია:
ა) განახორციელოს კონკურსისა და არჩევნების ორგანიზება;
ბ) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება კონკურსის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;
გ) განახორციელოს კონკურსში მონაწილე კანდიდატების (განმცხადებელების) რეგისტრაცია, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში რეგისტრაციაზე უარი უთხრას განმცხადებელს ან მოახდინოს კონკურსანტის რეგისტრაციის გაუქმება;
დ) მიიღოს და განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები/საჩივრები;
ე) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.
3. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ცენტრის სამეცნიერო საბჭოს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ აქტით.
4. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
5. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) სხდომებს ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება ხელმძღვანელობდეს სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა იმავე სხდომაზე.
6. კონკურსის სამდივნო (საკონკურსო კომისია) უზრუნველყოფს სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) საქმისწარმოებას, ადგენს სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის კონკურსის შედეგების შემაჯამებელ ოქმს), რეგისტრაციაში ატარებს კონკურსში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, რეგისტრაციაში ატარებს შესულ კორესპონდენციებს (მათ შორის განცხადებებს/საჩივრებს), ორგანიზებას უკეთებს კენჭისყრის ჩატარებისა და ხმის დათვლის პროცედურებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
7. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) სხდომის მოწვევის უფლება აქვს მის თავმჯდომარეს.
8. კონკურსიის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.
9. კონკურსის სამდივნო (საკონკურსო კომისია) გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
10. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
11. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სამდივნოს (საკონკურსო

12. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა ცენტრის არქივს.

მუხლი 9. ინტერესთა შეუთავსებლობა

კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) წევრი არ შეიძლება იყოს იმავე კონკურსში მონაწილე კანდიდატი.

თავი IV. კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 10. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია;

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) 1 ან რამოდენიმე სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

ზ) მოპოვებული (ან მისი მონაწილეობით შესრულებული) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);

ი) ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის კანდიდატი დამატებით წარმოადგენს შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვას (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

2. საკონკურსო განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან არა უგვიანეს კონკურსის ჩატარების წინა დღისა კონკურსის სამდივნო (საკონკურსო კომისია) ამტკიცებს:

ა) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი და შეესაბამება ამ წესდებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

ბ) იმ პირთა ნუსხას, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ან/და არ შეესაბამება ამ წესდებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან კონკურსის შედეგების გამოქვეყნებამდე დროის შუალედში, მას შემდეგ რაც ცენტრის სამეცნიერო საბჭოს (საკონკურსო კომისიის) მიერ განხორციელდება თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე კონკურსში მონაწილეთა (კონკურსანტების) მონაცემების ანალიზი და მათთან გასაუბრება.

4. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნეს კონკურსანტის ხედვა შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის განვითარების შესახებ, მის მიერ დასაკავებელი თანამდებობის პრეფიქსით

ნაშრომები, პატენტები, მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში, საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში.

6. კონკურსის ჩატარების დღეს სამეცნიეორ საბჭო იხილავს რა ყოველი საკონკურსო თანამდებობის თითოეულ საკონკურსო ადგილზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, ფარული კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რაც ფიქსირდება შესაბამის ოქმში (ოქმებში).

7. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია იხილავს რა ყოველი საკონკურსო თანამდებობის თითოეულ საკონკურსო ადგილზე კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს, ღია კენჭისყრით იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რაც ფიქსირდება შესაბამის ოქმში (ოქმებში).

8. კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც მხარს დაუჭერს საკონკურსო კომისიის (სამეცნიერო საბჭოს) სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ კონკურსანტების მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კონკურსანტებს დაუყოვნებლივ ეყრება განმეორებით კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. განმეორებით კენჭისყრაზე ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც წინა კენჭისყრაზე მეტი ხმა მიიღო. თუ მეორე კენჭისყრითაც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, ამავე წესით ტარდება განმეორებითი კონკურსი.

9. მას შემდეგ, რაც კონკურსი ჩატარდება ყველა საკონკურსო თანამდებობაზე, კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) მიერ, თითოეული საკონკურსო თანამდებობისათვის ივსება და კენჭისყრით მტკიცდება შემაჯამებელი ოქმები (ცალ-ცალკე, რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) სამეცნიეორო საბჭოსა (საკონკურსო კომისიის) წევრთა სრული შემადგენლობის სახელები და გვარები;

ბ) კენჭისყრაზე გამოცხადებულ სამეცნიერო საბჭოს (საკონკურსო კომისიის) წევრთა სახელები, გვარები და ხელმოწერები;

გ) თითოეული კონკურსანტის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

დ) კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადებულ კონკურსანტთა სახელები და გვარები;

ე) შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების თარიღი.

თავი V. განმეორებითი კონკურსის ჩატარების წესი

მუხლი 11. განმეორებითი კონკურსი

თუ კონკურსში რომელიმე საკონკურსო თანამდებობაზე არ მონაწილეობდა არც ერთი კონკურსანტი, ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე ინიშნება განმეორებითი (ხელახალი) კონკურსი ამ დებულებით განსაზღვრული პროცედურების სრული დაცვით.

თავი VI. კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება და ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ახლად არჩეული ხელმძღვანელის უფლებამოსილების ცნობა

მუხლი 12. კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

საკონკურსო კომისია (სამეცნიერო საბჭო) კონკურსის საბოლოო შედეგებს აქვეყნებს თითოეულ საკონკურსო თანამდებობაზე კონკურსის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული დღისა მისი ჩატარების ან/და ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე.

მუხლი 13. თანამდებობაზე არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობა

1. კონკურსის შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის წარდგინებით, უნივერსიტეტის რექტორი გამარჯვებულ კონკურსანტებს ნიშნავს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს საკონკურსო პირობებში მოცემული ვადით.

2. თანამდებობაზე არჩეული პირი უფლებამოსილია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

თავი VII. კონკურსის პროცედურისა და საბოლოო შედეგების გასაჩივრების წესი

მუხლი 14. კონკურსის პროცედურისა და საბოლოო შედეგების გასაჩივრება

1. ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით კონკურსში მონაწილე კონკურსანტს, ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრს ან კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) წევრს უფლება აქვს დარღვევიდან 3 დღის განმავლობაში შეიტანოს განცხადება/ საჩივარი კონკურსის სამდივნოში (საკონკურსო კომისიაში). ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.

2. განცხადება/საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:

ა) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი;

ბ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი.

გ) დარღვევის შინაარსი;

დ) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;

ე) განცხადების/საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა; თარიღი და დრო.

3. კონკურსის სამდივნო (საკონკურსო კომისია) ვალდებულია განმცხადებელს გადასცეს ცნობა, რომელშიც აღინიშნება განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო და განცხადების/საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს განცხადება/საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება მისი დაკმაყოფილების, დაკმაყოფილებაზე უარის ან მისი განუხილველად დატოვების შესახებ.

4. განცხადების/საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებას კონკურსის სამდივნო იღებს (საკონკურსო კომისია) იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია ან შეიძლება იქონიოს კონკურსის შედეგზე.

6. კონკურსის სამდივნოს (საკონკურსო კომისიის) გადაწყვეტილება და/ან კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დებულება

დამტკიცებულია ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიერ,
შემუშავებულია ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ